

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები
საბანკო კრედიტის ხელშეკრულების # თავსართი

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
წლიური საპროცენტო განაკვეთი: %
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: %

ფინანსური ხარჯები

ყოველთვიური შენატანი (ძირითადი თანხა,
პროცენტი):
ვადის ბოლოს შენატანი:

ხელშეკრულების სხვა პირობები

კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა:

მოხმარებლის მიერ გადასახდელი

მთლიანი თანხის ოდენობა:

კრედიტის ვადა: დღე

საკრედიტო ხელშეკრულების ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მოქმედების ვადა: ვალდებულებების მთლიანად შესრულებამდე.

წინსწრებით დაფარვის/რეფინანსირების 0 %

საკომისიო:

პირგასამტეხლო

ვადაგადაცილებისთვის:

გრაფიკით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის: 2 (ორი) ლარი და დავალიანების (ვადაგადაცილებული თანხის) (არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0,27%-სა). ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ:

- ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების (წინამდებარე თავსართში მოცემული პირობების, მათ შორის საპროცენტო განაკვეთის) ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინებით;
- წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს, თუ პირობის ცვლილება ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ;
- მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.
- მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებასთან დაკავშირებული პირობები, მომხმარებლის მიერ განსახორციელებელი ქმედებები/შესასრულებელი ვალდებულებები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, დეტალურად არის მოცემული ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.15 პუნქტში.
- გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - 032 2406 406.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება #

ერთი მხრივ, სს „თიბისი ბანკი“ (ს/ნ 204854595; ტელ: +99532 2272727; მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7;

შემდგომში „ბანკი“) (საზედამხედველო ორგანო: „საქართველოს ეროვნული ბანკი“; მის: თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 2) და მეორე მხრივ, (შემდგომში „კლიენტი“/“მსესხებელი“) (პირადი ნომერი:) მხარეთა შორის დადებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ძირითადი ხელშეკრულებ(ებ)ის“) საფუძველზე ვდებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 ამ ხელშეკრულების საგანია ბანკის მიერ მსესხებლისთვის სასყიდლიანი კრედიტის მიცემა სესხის ფორმით და მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.
- 1.2 საბანკო კრედიტის (სესხის) ძირითადი პირობები განისაზღვრება ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით.
- 1.3 მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე საბანკო კრედიტი გაიცემა და ხელშეკრულება ფორმდება ძირითადი ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე, წინამდებარე საბანკო კრედიტის ხელშეკრულება (ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი კლიენტის ვალდებულებები) არ იქნება უზრუნველყოფილი იმ ხელშეკრულებ(ებ)ით/ქონებით (უზრუნველყოფ(ებ)ით), რომლითაც უზრუნველყოფილია ძირითადი ხელშეკრულება(ები).

2. საბანკო კრედიტის პირობები

- | | | |
|------|--|---|
| 2.1 | ძირითადი ხელშეკრულება: | საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულება |
| 2.2 | კრედიტის ტიპი: | სამომხმარებლო |
| 2.3 | კრედიტის თანხა: | |
| 2.4 | მოხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: | |
| 2.5 | კრედიტის ვადა: | დღე |
| 2.6 | წლიური საპროცენტო განაკვეთი: | %
საპროცენტო სარგებელი ერიცხება კრედიტის თანხას (საწყის ნაშთს) და თვეების მიხედვით თანაბრად ნაწილდება სესხის სრულ ვადაზე. იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო სარგებლის დარიცხვის წესი განსხვავებულად რეგულირდება მხარეთა შორის გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულებით (მათ შორის ძირითადი ხელშეკრულებით), მოქმედებს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული დათქმა. |
| 2.7 | საპროცენტო განაკვეთის ტიპი: | ფიქსირებული |
| 2.8 | კრედიტის მიზნობრიობა: | პირადი ხარჯების ფინანსირება |
| 2.9 | კრედიტის გაცემის ფორმა: | ერთჯერადი |
| 2.10 | კრედიტის დაფარვის გრაფიკი: | ყოველი თვის რიცხვში (იმ შემთხვევაში, თუ დაფარვის ვადა დაემთხვევა არასამუშაო დღეს კლიენტი ვალდებული იქნება ყოველთვიურად გადასახდელი თანხა გადაიხადოს დაფარვის თარიღის მომდევნო პირველივე სამუშაო დღეს). კრედიტის დაფარვის დაწყების თარიღი კრედიტი (ძირითადი თანხა და დარიცხული საპროცენტო სარგებელი) სრულად უნდა დაიფაროს
სესხის დაფარვა უნდა განხორციელდეს ბანკის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად. ბანკის მიერ შედგენილი გრაფიკი შეგიძლიათ მოითხოვოთ სს „თბილისი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში/სერვის ცენტრში ან იხილოთ თქვენს ინტერნეტ ბანკში. |
| 2.11 | პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის: | გრაფიკით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის: 2 (ორი) ლარი და დავალიანების (ვადაგადაცილებული თანხის) (არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0,27%-სა). ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას. |
| 2.12 | წინსწრებით დაფარვის/რეფინანსირების საკომისიო: | 0 % |
| 2.13 | გასატანი თანხის ოდენობა: | |
| 2.14 | ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: | |
| 2.15 | ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება: | მსესხებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. |

წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, ხელშეკრულებაზე უარის დასაფიქსირებლად, მსესხებელმა ბანკს უნდა მიმართოს შესაბამისი მოთხოვნით (განაცხადით) ერთ-ერთი შემდეგი არხით:

- ბანკის ნებისმიერი ფილიალში ვიზიტით;
- სატელეფონო სერვისცენტრთან (+99532 2272727) დაკავშირებით;
- ინტერნეტ / მობილური ბანკის მეშვეობით ბანკისთვის მიწოდებული შესაბამისი შეტყობინებით.

ზემოხსენებული არხ(ებ)ით ხელშეკრულებაზე უარის განაცხადის დაფიქსირების შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია ნათლად და მკაფიოდ განსაზღვროს იმ საბანკო კრედიტის ხელშეკრულების რეკვიზიტები, რომელ ხელშეკრულებაზეც იყენებს უარის თქმის უფლებას.

კლიენტის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების (წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული არხ(ებ)ით განაცხადის (მოთხოვნის) დაფიქსირების) შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია შესაბამისი განაცხადის დაფიქსირებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში სრულად დაუბრუნოს ბანკს:

1. საბანკო კრედიტის ძირითადი თანხა;
2. საბანკო კრედიტის თანხით სარგებლობის ფაქტობრივ პერიოდზე/დღე(ებ)ზე (ხელშეკრულების უარის უფლების რეალიზებამდე საბანკო კრედიტის თანხაზე) დარიცხული (წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული) საპროცენტო სარგებელი / დაზღვევასთან დაკავშირებული გადასახდელ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. ნებისმიერი ქონება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რომელიც კლიენტმა ბანკისაგან სარგებლობაში/საკუთრებაში მიიღო წინამდებარე საბანკო კრედიტის ხელშეკრულების ფარგლებში/შესაბამისად.

წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, ამავე პუნქტით კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ბანკი დაუბრუნებს კლიენტს მის მიერ საბანკო კრედიტის თანხის მისაღებად ბანკისთვის გადახდილ ნებისმიერ გადასახდელს (ხელშეკრულების თავსართით გათვალისწინებული ფინანსური ხარჯ(ებ)ის) (გარდა იმ გადასახდელებისა, რომელთა მიმღებია მესამე პირი (ადმინისტრაციული ორგანო, ნოტარიუსი და სხვა)), რის შემდგომ, ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.

კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ბანკი არ არის / არ იქნება პასუხისმგებელი და შესაბამისად, ხელშეკრულება არ ჩაითვლება შეწყვეტილად / მსესხებელს არ დაუბრუნდება მის მიერ კრედიტის თანხის მისაღებად ბანკისთვის გადახდილი ნებისმიერი გადასახდელი, თუ კლიენტის მიერ საბანკო კრედიტის ძირითადი თანხის / კრედიტის თანხით სარგებლობის ფაქტობრივ პერიოდზე/დღე(ებ)ზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის ბანკისთვის დაბრუნების (კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე თანხ(ებ)ის განთავსების/ჩარიცხვის) / კლიენტის ვალდებულების/დავალიანების ბანკის მიერ შესრულების/დაფარვის მომენტისთვის/დღისთვის, კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე გავრცელებული/რეგისტრირებული იქნება სამართლებრივი შეზღუდვა, ინკასო, ყადაღა და/ან სხვა სახის შეზღუდვა/აკრძალვა.

წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით / ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურების არხ(ებ)ის საშუალებით ხელშეკრულების დადასტურებით, კლიენტი ამავდროულად აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების დაფიქსირების (ბანკისთვის შესაბამისი განაცხადით მიმართვის) დღიდან კლიენტის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული

ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე პერიოდში, სესხზე უცვლელად და უწყვეტად ხდება საპროცენტო სარგებლის / პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობისას) დარიცხვა, რომლის ამავე/ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით / ვადაში გადახდაც უნდა განხორციელდეს, წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში (30 დღე) კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში.

2.16 ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა, პროცენტი):

გამოიყენება ამ ხელშეკრულების 2.10 პუნქტში აღწერილი წესი.

3. სხვა პირობები

- 3.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შევა კლიენტის მიერ ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურების არხების საშუალებით (ბანკომატი, სწრაფი გადახდის ტერმინალი, ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი, ვებგვერდი და სხვ.) მისი დადასტურების (ხელშეკრულების პირობებზე თანხმობის გაცხადების) მომენტიდან და იმოქმედებს ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების მთლიანად შესრულებამდე.
- 3.2 ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების 2.1 პუნქტში დასახელებული ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ხელშეკრულებაზე სრულად ვრცელდება ძირითადი ხელშეკრულების მოქმედება და საქართველოს კანონმდებლობით ამ ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა მოცემულია ძირითად ხელშეკრულებაში.
- 3.3 ეს ხელშეკრულება იმავდროულად არის კლიენტის განცხადება საკრედიტო პროდუქტების მიღების შესახებ და განაცხადი ანგარიშ(ებ)ის გახსნის შესახებ.
- 3.4 ამ ხელშეკრულების დადასტურებით მსესხებელი ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს ბანკის ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებას და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.
- 3.5 ბანკს უფლება აქვს შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალება (მათ შორის ელექტრონული, ციფრული და ა.შ.);
- 3.6 ბანკს უფლება ექნება შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა ან/და ნებისმიერი, რამდენიმე ან ყველა დამატებითი ხელშეკრულების მოქმედება ან/და მოსთხოვოს კლიენტს კრედიტის ძირითადი თანხის დაბრუნება მისთვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ამ მიზნით, საკუთარი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს კლიენტის ნებისმიერი აქტივის რეალიზაციის ხარჯზე (თუ კანონმდებლობით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული) და/ან კლიენტის საბანკო ანგარიშების დაყადაღებით/კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე განთავსებული თანხ(ებ)ის ცალმხრივად განკარგვით, თუ კლიენტი დაარღვევს წინამდებარე და/ან ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ პირობას/ნაკისრ ვალდებულებას და/ან დადგება ძირითადი ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტის ნებისმიერი და/ან რომელიმე პირობა.
- 3.7 იმ შემთხვევაში, თუ: ა) კლიენტის სასარგებლოდ გაცემული საკრედიტო პროდუქტის საპროცენტო განაკვეთი აღმოჩნდება უფრო დაბალი, ვიდრე საქართველოს საკრედიტო ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთები; ბ) ბანკის საკრედიტო პროდუქტების ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ისე რომ კლიენტის სასარგებლოდ გაცემული საკრედიტო პროდუქტი შესაძლოა ზარალიანი აღმოჩნდეს ბანკისთვის ან/და საფრთხე შეუქმნას ბანკის ფინანსურ სტაბილურობას; გ) ადგილი ექნება სხვა პროცესებს, რომელთაც შესაძლოა გამოიწვიონ საკრედიტო ბაზარზე კრედიტით სარგებლობისთვის დაწესებული საპროცენტო სარგებლის (განაკვეთების) ცვლილება; დ) განხორციელდება იმგვარი საკანონმდებლო და/ან სხვა სახის ცვლილება, რომელიც აუარესებს ბანკის მდგომარეობას, ბანკი უფლებამოსილი იქნება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად შეცვალოს (გაზარდოს) საპროცენტო განაკვეთი. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ბანკის უფლებამოსილება ცალმხრივად შეცვალოს (გაზარდოს) საკრედიტო პროდუქტის საპროცენტო განაკვეთი, ძალაში შევა მხოლოდ, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის 5%-ზე მეტით ცვლილების შემთხვევაში.

3.7.1 ამგვარი ცვლილების შესახებ, ბანკი კლიენტის ინფორმირებას უზრუნველყოფს ცვლილებამდე 2 (ორი) თვით ადრე კლიენტისთვის მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საპროცენტო განაკვეთის ზრდა გამოწვეული იქნება, კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულების ან/და საკრედიტო პროდუქტის რომელიმე პირობის დარღვევის საფუძველით. ამასთან, წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს, თუ პირობის ცვლილება ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ;

3.7.2 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ეთანხმება ამგვარ ცვლილებას, იგი ვალდებული იქნება ზემოხსენებულ ვადაში სრულად დაფაროს ბანკის მიერ მისთვის მიცემული ყველა საკრედიტო პროდუქტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიენტი ვალდებული იქნება საპროცენტო სარგებელი გადაიხადოს გაზრდილი საპროცენტო

განაკვეთის მიხედვით.

- 3.8 კლიენტი თანახმაა, სს „თიბისი ბანკმა“ კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები.
- 3.9 კლიენტი თანახმაა და ბანკს ანიჭებს უფლებას, მისთვის ბანკის მიერ საჩუქრის გადაცემის/მიწოდების მიზნით (იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო პროდუქტის მიღებას თან ახლავს საჩუქარი) და ამ მიზნის განსახორციელებლად აუცილებელი კლიენტის პერსონალური მონაცემები საჭირო მოცულობით გადასცეს ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ საკურიერო მომსახურების კომპანიებს (მათ შორის შპს „სითი ექსპრეს“ (ს/ნ 404867541)), რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა. ამასთან, კლიენტი ბანკს ათავისუფლებს წინამდებარე პუნქტის საფუძველზე გაცემული ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის ვალდებულებისგან და აცხადებს უარს ამ პუნქტში აღწერილი ინფორმაციის ბანკის მიერ გამჟღავნებით ან მესამე პირ(ებ)ისთვის გადაცემით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.
- 3.10 ბანკის მომსახურებით უკმაყოფილების შემთხვევაში, კლიენტს უფლება აქვს ბანკს მიმართოს პრეტენზიით ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. პრეტენზიის სტანდარტული წერილობითი ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებსა და სერვისცენტრებში. ელექტრონული ფორმით პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია ინტერნეტბანკის ან ბანკის ვებგვერდის (www.tbcbank.ge) საშუალებით. პრეტენზიის დაფიქსირება ასევე შესაძლებელია თიბისი ბანკის სატელეფონო სერვის ცენტრში დაკავშირებით: +99532 2 272727. კლიენტის მიერ დაფიქსირებული პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა განმცხადებლის მომართვისა და საჭიროების შემთხვევაში იდენტიფიკაციიდან არაუგვიანეს ერთი თვე. პრეტენზიებს განიხილავს ბანკის მომხმარებელთა მხარდაჭერის განყოფილების პრეტენზიების მართვის გუნდი. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კლიენტს ეცნობება წერილობით ან/და კლიენტთან შეთანხმებით კომუნიკაციის სხვა საშუალებით (სატელეფონო კომუნიკაცია, ელექტრონული ფოსტა, ციფრული არხი) ან/და პრეტენზიის მომართვის ფორმის იდენტიფიკაციის დასრულების შემდეგ. პრეტენზიის განხილვის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ ფილიალში/სერვისცენტრში და/ან დისტანციური არხების საშუალებით.
- 3.11 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული დავა განიხილება საქართველოს სასამართლოს მიერ. მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე დავასთან დაკავშირებული ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.
- 3.12 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ერთდროულად უწევს რამდენიმე ვალდებულების შესრულება (რამდენიმე კრედიტის ერთდროულად (ერთ თარიღში) დაფარვა), იგი უფლებამოსილია, ყოველი ასეთი შემთხვევის დადგომისას (ყოველ ჯერზე), ვალდებულების დაფარვამდე მიმართოს განცხადებით ბანკის ნებისმიერ ფილიალს / სერვისცენტრს და მოითხოვოს ვალდებულებების შესრულება (სესხის დაფარვა) მისთვის სასურველი თანმიმდევრობით (პრიორიტეტულობით). ხოლო, თუ კლიენტი არ გამოიყენებს წინამდებარე პუნქტით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, ბანკი მოახდენს ვალდებულებების დაფარვას შემდეგი პრიორიტეტულობით: პირველ რიგში დაიფარება საკრედიტო ბარათებთან / ოვერდრაფტებთან დაკავშირებული გადასახდელები, შემდგომ დაიფარება არაუზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი და ბოლოს უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი. ამავდროულად, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, ყოველ კონკრეტული შემთხვევისას, ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული კლიენტის ვალდებულებათა შესრულების რიგითობა (პრიორიტეტულობა).
- 3.13 წინამდებარე კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის წინსწრებით (სრულად ან ნაწილობრივ) დაფარვის საკითხი/უფლება, რეგულირდება წინამდებარე და/ან ძირითადი ხელშეკრულებით.